# AGL

აჭარისწყალი ჯორჯია

შუახევი ჰესი ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებისთვის
**SHUAKHEVI HPP FOR ENERGY SECURITY OF GEORGIA**

მდგრადი განვითარება
**SUSTAINABLE DEVELOPMENT**

#3 2022 www.agl.com.ge

AGL



# რაკეშ ნაიკი: მდგრადი განვითარება ჩვენი მთავარი პრიორიტეტია

კომპანიის მდგრადი განვითარება ჩვენს პრიორიტეტს წარმოადგენს, ამ მიზნის მისაღწევად, ჩვენი გუნდის თითოეული თანამშრომელი ძალისხმევას არ იშურებს თავისი საქმიანობის პროცესში.

უკვე მესამე წელია, რაც "შუახევი ჰესი" ელექტროენერგიას უწყვეტად აწვდის საქართველოს მოსახლეობას. როცა ქვეყანაში ელექტროენერგიის შიდა წარმოება ჭარბია, ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია ექსპორტზე გადის, რითაც ზრდის ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს. მიმდინარე წელს "შუახევი ჰესის" მიერ გამომუშავებულმა ელექტროენერგიამ შეადგინა 444 მლნ კვტსთ, ხოლო ექსპორტზე მაისში, ივნისსა და ივლისში გავიდა 115 მლნ კვტსთ ელექტროენერგია.

"შუახევი ჰესის" მიერ ელექტროენერგიის გამომუშავებამ ჩვენ მიერ დაგეგმილი მაჩვენებელს გადააჭარბა, რაც რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. ეს ფაქტორებია: მაღალპროფესიული გუნდი, რომელიც 24/7 შრომობს, რათა გამომუშავებული ელექტროენერგიით ქსელის მოთხოვნა დააკმაყოფილდეს ყოველგვარი ტექნიკური გამოწვევის გარეშე და ჰიდროელექტროსადგურის მაღალი ხარისხის აღჭურვილობა, რომლის ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს შესაბამისი გუნდი 95%-ზე მეტი ხელმისაწვდომობით. ყოველივე ამან მოგვცა შესაძლებლობა, მიგვეღო მაქსიმალური სარგებელი გაზრდილი მოდინებიდან და გამოგვემუშავებინა მეტი ელექტროენერგია.

ელექტროენერგიის სტაბილურ და უსაფრთხო გამომუშავებასთან ერთად ჩვენს პრიორიტეტს წარმოადგენს უსაფრთხოება, გარემოს დაცვა და სოციალური საკითხები. თითოეული რგოლის წარმატებული საქმიანობა, ჩართულობა და მოტივაცია საშუალებას გვაძლევს მივაღწიოთ ჩვენს მთავარ მიზანს - ჩვენი კომპანიის მდგრადი განვითარებას.

**აღმასრულებელი დირექტორი**
**რაკეშ ნაიკი**

# Rakesh Naik: Sustainable Development is Our Top Priority

The company's sustainable development is our top priority, and each member of our team is committed to strive to achieve this goal.

The Shuakhevi hydropower plant (HPP) has been supplying the population of Georgia with electric power for nearly 3 years. HPP has exercised its right to export electricity to Turkey during the months of May, June & July this year. to enhance the country's export potential. Shuakhevi HPP generated 444 million KW/h of electricity in the current year, and the total amount of energy exported to Turkey was 115 million KW/h during the months of May, June & July.

This year's electric power output has exceeded the budgeted numbers based on Pavg assumption, a result underpinned by several factors, such as a team that works 24/7 with high professionalism and does its best to meet grid requirements for generated electricity without any technical challenges. Another factor is better hydrology as compared to previous years and the fact that the hydropower plant is equipped with modern and high-quality technical machinery that is well-maintained by the O&M team with > 95 % of availability  This has enabled the company to take advantage of increased inflow and has resulted in increased electricity generation.

Alongside steady and safe electric power generation, our top priorities encompass Safety, Environmental protection, and Social & Community Relations. Effective Teamwork, Highly engaged & motivated team enables us to achieve our main goal, which is the company's sustainable development.

**Chief Executive Officer**
**RAKESH NAIK**




SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS
1 NO POVERTY
არა სიღარიბეს
NO POVERTY
4 QUALITY EDUCATION
განათლება
EDUCATION
5 GENDER EQUALITY
გენდერული თანასწორობა
GENDER EQUALITY
7 AFFORDABLE AND CLEAN ENERGY
სუფთა ენერგია
CLEAN ENERGY
8 DECENT WORK AND ECONOMIC GROWTH
ეკონომიკური ზრდა
ECONOMIC GROWTH
13 CLIMATE ACTION
კლიმატი
CLIMATE
17 PARTNERSHIPS FOR THE GOALS
პარტნიორობა
PARTNERSHIP
3 GOOD HEALTH AND WELL-BEING
5 GENDER EQUALITY
6 CLEAN WATER AND SANITATION
9 INDUSTRY, INNOVATION AND INFRASTRUCTURE
12 RESPONSIBLE CONSUMPTION AND PRODUCTION
15 LIFE ON LAND



კომპანია "აჭარისწყალი ჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საქართველოს პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს შეხვდნენ. შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები.

"ენერგეტიკის სფეროში განხორციელებული მასშტაბური პროექტები ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობასა და ენერგოუსაფრთხოებას უზრუნველყოფს, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ეკონომიკის სტიმულირებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას"

**ირაკლი ღარიბაშვილი**
**საქართველოს პრემიერმინისტრი**

The members of the Board of Adjaristsqali Georgia LLC met with Georgian Prime Minister Irakli Garibashvili. Prospects of future cooperation were discussed at the meeting.

The Large-scale projects implemented in Georgia's energy sector ensured the country's energy independence and energy security, helped stimulate the economy and create new jobs

Irakli Garibashvili
Prime Minister of Georgia



## შესაბამისობა & მმართველობა

"აჭარისწყალი ჯორჯიამ" შეიმუშავა მყარი ჩარჩო საქართველოს კანონმდებლობასთან, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, რომ გარანტირებულ იქნეს შიდა შესაბამისობის ყოველდღიური მონიტორინგი და 100%-იან თანხვედრა. დანერგილია WEB-ზე დაფუძნებული სისტემა შესაბამისობის მონიტორინგის უზრუნველსაყოფად. სისტემა საშუალებას იძლევა დროულად მიაწოდოს ინფორმაცია პასუხისმგებელ პირს. ეს პროცესი უზრუნველყოფს სათანადო შესაბამისობას დროულად.

ყველა ფინანსური ტრანზაქცია ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და ექვემდებარება სხვადასხვა შიდა და გარე აუდიტს. "აჭარისწყალი ჯორჯიამ" დარენგა SAP-ERP სისტემები ფინანსური ტრანზაქციების ხელშესაწყობად.

დაინერგა რისკის მართვის სათანადო სისტემა, სადაც საოპერაციო, ფინანსური, კომერციული, ეკოლოგიური და სოციალური რისკები, ექვემდებარება მონიტორინგს და გათვალისწინებულია შემარბილებელი ზომები.

## Compliance & Governance

Adjaristsqali Georgia LLC has developed a robust framework to ensure all the compliances towards Georgian Legislation, International Financial Institutions and internal compliances are monitored and tracked on day-to-day basis and 100 % compliance is ensured. A web-based system has been implemented to track compliance monitoring. The system tracks all the upcoming compliances and sends alert to the responsible person before due date. This ensures proper compliance in time.

All financial transactions as carried out as per international standards and subject to various internal and external audits. AGL has implemented SAP – ERP system to facilitate financial transactions.

Proper Risk Management system has been implemented where all the risks such as Operational, Financial, Commercial, Environmental & Social are monitored and mitigation measures are put in place.

## საოპერაციო გაუმჯობესება

ექსპლუატაციაში მიღების დღიდან კომპანიამ განახორციელა სხვადასხვა საოპერაციო გაუმჯობესება, რათა უზრუნველყოს ელექტროსადგურის ყველა აღჭურვილობის უპრობლემოდ ფუნქციონირება მაღალი მოქნილობისა და ქსელის მოთხოვნებისადმი საიმედოობის გათვალისწინებით. დიდაჭარის კაშხალზე სადღეღამისო ტევადობით, შუახევი ჰესი უზრუნველყოფს ქსელის მუშაობის მოქნილობას, რადგან მას შეუძლია წყლის შენახვა და ქსელის მოთხოვნების შესრულება სისტემის პირობების შესაბამისად. შუახევი ჰესი ასევე დიდ მხარდაჭერას უწევს ქსელის ძაბვის რეგულირებას საჭიროების შემთხვევაში.

ჩვენმა ოპერირებისა და მოვლა-შენახვის გუნდმა დაასრულა U # 2-ის ძირითადი გათიშვა 2021 წელს, რათა დაესრულებინა ტურბინის ნაწილების დაფარვა მაღალი სიჩქარის ჟანგბადის საწვავით (HVOF) ნალექის ზემოქმედებისაგან დაცვისა და აღჭურვილობის სასარგებლო სამუშაო ვადის გაზრდის მიზნით. გათიშვის ამ პერიოდში განხორციელდა გენერატორის გაწმენდისა და მოვლა-შენახვის სხვა ტექნიკური სამუშაოები.

## Operational Improvements

Since commissioning, AGL has made various operational improvements to ensure trouble-free functioning of all plant equipment with a high flexibility and reliability to Georgian Grid requirements. With a day storage capacity at Didachara dam, Shuakhevi HPP provides a great flexibility of operation for the grid as it can store water and fulfil grid requirements as per system conditions. Shuakhevi HPP also provide a great support in grid voltage regulation whenever required.

Our O & M Team has completed a major outage of U # 2 in 2021 to complete HVOF coating of turbine underwater parts to protect from impact of sediments & to enhance useful working life of the equipment. Generator cleaning and other maintenance works were also completed during this outage period.











კომპანიის მენეჯმენტი ვალდებულია, საბჭოს სხდომების მეშვეობით კვარტალურად მიაწოდოს ინფორმაცია პროგრესის შესახებ დირექტორთა საბჭოს, რომელიც შედგება JV პარტნიორების წევრებისგან. საბჭოს დირექტორები სტუმრობენ სადგურს, რათა შეამოწმონ საოპერაციო ობიექტები და მოტივაცია აუმაღლონ გუნდს. მმართველი კომიტეტის ყოველთვიური და აუდიტის კომიტეტის შეხვედრები იმართება, რათა ხელი შეუწყოს და მითითებები მიეცეს მენეჯმენტს ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები სტუმრობენ ენერგოობიექტს, რათა თვალყური ადევნონ და დააკვირდნენ კომპანიის საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.

AGL management is obliged to report the progress on quarterly basis to the Board of Directors comprising of members from the JV partners through Board Meetings. Board Directors visit plant locations to inspect the operational facilities and motivate the team. Monthly Steering Committee Meetings and Audit committee Meetings are held to guide and support management to take necessary decisions during the course of business.

International Financial Institutions visit the site to track and monitor various compliances as per international standards.

"ძალიან მნიშვნელოვანია სადგურის მოვლა და შენარჩუნება პროაქტიულად, რათა თავიდან ავიცილოთ გაუთვალისწინებელი საკითხები. ჩვენი გუნდი უზრუნველყოფს მოვლა-შენახვის ყველა სამუშაოს დროულად განხორციელებას. ოპერირების ჯგუფი რეალურ დროში ახორციელებს თითოეული აღჭურვილობის მონიტორინგს SCADA და CCTV სისტემების მეშვეობით. ტარდება ფიზიკური ტურები სამუშაო აღჭურვილობის მდგომარეობის შესამოწმებლად და ნებისმიერი დეფექტის ან დარღვევის შესახებ დაუყოვნებლივ იგზავნება ინფორმაცია, რათა მოვლა-შენახვის გუნდებმა დაუყოვნებლივ მიიღონ მაკორექტირებელი ზომები შემდგომი გართულებების თავიდან აცილების მიზნით. ამ პრაქტიკის გამოყენებით, ჩვენ ვახერხებთ, მივაღწიოთ სადგურის ხელმისაწვდომობის 95%-ზე მეტს." - აღნიშნავს, შუახევის ელექტროსადგურის ხელმძღვანელი, ბალა სუბრამანიამი.

Our Plant Head Mr. Balasubramanyam states: It is very important to upkeep and maintain the plant in proactive manner to avoid any unforeseen issues. As a team we ensure that all the maintenance activities are carried out in timely manner. Operations team monitors each and every equipment on real time basis through SCADA and CCTV systems. Physical rounds are taken to check the condition of operating equipment and any defects or abnormalities are immediately reported so that maintenance teams can take immediate corrective actions to avoid further complications. With such a practice, we manage to achieve > 95 % of plant availability all the time.

# ᲡᲐᲛᲔᲗᲕᲐᲚᲧᲣᲠᲔᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲨᲣᲐᲮᲔᲕᲘ ᲰᲔᲡᲖᲔ

## BOARD MAMBERS VISIT TO SHUAKHEVI HPP











187 მგვტ სიმძლავრის შუახევის ჰესების კასკადი წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროექტს ქართული ენერგო სექტორისთვის. დღეს, შუახევი ჰესი დადგმული სიმძლავრით არის ყველაზე დიდი ენერგო ობიექტი ენგურის შემდეგ.

შუახევი ჰესი დაახლოებით 5% ზრდის ელექტროენერგიის შიდა წარმოებას, აძლიერებს ქვეყნის ენერგო უსაფრთხოებას და ხელს უწყობს ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობისკენ სწრაფვას.

187-MW Shuakhevi HPP Cascade is one of the most important projects for the Georgia Energy Sector. The Shuakhevi HPP boasts the largest installed capacity, next only to the Enguri HPP.

The commercial operation of the Shuakhevi HPP was launched in 2020. The Shuakhevi HPP increases the country's domestic energy generation by about five percent, consequently cementing Georgia's energy security and promoting its energy independence aspirations.

# ჩვენ ვაძლიერებთ ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებას

## We support strengthening of the country’s energy security




### ᲨᲐᲚᲕᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲝᲑᲘᲐᲜᲘ, ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘ: ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲮᲔᲚᲡ ᲣᲬᲧᲝᲑᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲝ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ

შალვა გიორგობიანი პროფესიით ინჟინერია, შუახევი ჰესის ელექტო მექანიკურ გუნდს ხელმძღვანელობს. კომპანია ,,აჭარისწყალ ჯორჯიას" 2020 წელს შემოუერთდა, თუმცა მისი კარიერა ენერგო სექტორში 2007 წლიდან იწყება. მრავალწლიანი წარმატებული საქმიანობის მანძილზე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად მისი და მისი გინდის მიერ სხალთა ჰესის წარმატებით ოპერირებაში შესვლა მიაჩნია. თვლის, რომ ქვეყნისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ენერგო პროექტში მუშაობს, რომელსაც ყოველდღიურად შეაქვს წვლილი ქვეყნის ენერგო უსაფრთხოების გაძლიერების პროცესში.

,,როცა შუახევი ჰესს შემოვუერთდი, კომპანია იწყებდა სხალთა ჰესის ექსპლუატაციაში გაშვებას. როგორც თქვენთვის ცნობილიაზზ შუახევი ჰესი შედგება 187 მგვტ შუახევი ჰესის და 9 მგვტ სიმძლავრის სხალთა ჰესისგან. შემიძლია ვთქვა, რომ სხალთა ჰესის ოპერირებაში წარმატებით შესვლა იყო ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ეტაპი ჩემი მრავალწლიანი საქმიანობის მანძილზე. დღეს, როგორც შუახევი ჰესს, ასევე სხალთა ჰესს მუდმივ მონიტორინგს ვუწევთ და ამავდროულად პრევენციულად ვგეგმავთ ყველა შესაბამის ქმედებას, რათა თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი სახის გამოწვევა. ელექტროენერგიის გამომუშავების დაწყების დღიდან ორივე ჰესი ოპერირებს წარმატებით და ყოველგვარი ტექნიკური გამოწვევი გარეშე" - ამბობოს, შალვა გიორგობიანი.

შალვას და მისი გუნდის წევრების პასუხისმგებლობას, დანადგარების ელექტრული თვალსაზრისით გამართვა და სრულყოფილად ფუნქციონირება წარმოადგენს. წინასწარ აქვთ გაწერილი გეგმა რასაც მიყვებიან, მთავარი მიზანია, რომ ყოველთვის, ყველა დანადგარი მწყობრში იყოს და ელექროენერგიის წარმოებას არ შეექმნას საფრთხე. თვლის, რომ იმდენად ზუსტად არის გათვლილი ტექნიკური გეგმა რომელსაც მიყვებიან, რომ გამოწვევების და გაუთვალისწინებელი გარემოებების წინაშე არ დგებიან. მუდამ პროექტიულად მოქმედებენ.

### SHALVA GIORGOBIANI: WORK OF OUR TEAM SUPPORTS STRENGTHENING OF THE COUNTRY’S ENERGY SECURITY

Shalva Giorgobiani is a professional engineer, leading a E&M team at Shuakhevi HPP. He joined AGL in 2020, but his career in the energy sector started back in 2007. Throughout many years of successful career, he believes that one of the important achievements is successful commencement of operation of Skhalta HPP initiated by his team and himself. He is positive that he works for one of the most important energy projects for the country that daily contributes into the process of strengthening energy security of this country.

“When I joined Shuakhevi HPP, the company was about to launch operation of Skhalta HPP. As you are aware, Shuakhevi HPP is comprises of 187 MW Shuakhevi HPP and 9 MW Skhalta HPP. I can say that successful commencement of Skhalta HPP operation was one of the most interesting stages in my multi-year career. Today, we perform constant monitoring on Shuakhevi HPP and Skhalta HPP and at the same time, we preventively plan all the relevant measures to avoid any challenges. Since the start of electricity generation, both power plants operate successfully and without any technical challenges” - states, Shalva Giorgobiani.

Responsibility of Shalva and his team members is electrical maintenance and due functioning of machinery. They have a pre-developed plan they follow, main goal is to have all the machinery in due condition all the time and to avoid any complications in electricity generation. He believes that the technical plan they follow is so precise, that they do not face any challenges and unforeseen condition. They always act proactively.



,,ჩვენ ელექტროენერგიის გამომუშავება დავიწყეთ 2020 წელს, უკვე მესამე წელი დაიწყო რაც ელექტროენერგიას გამოვიმუშავებთ. ამ დღიდან არ ყოფილა არცერთი შემთხვევა, როცა რაიმე ტიპის რისკის ან გამოწვევა წინაშე დავმდგარიყავით. ძალიან მაღალია ერთი მხრივ გეგმის სტანდარტი, რომელსაც თითოეული გუნდი მიჰყვება და მეორე მხრივ, ყველა მიმართულების გუნდის კოორდინაცია, გუნდურობის გრძნობა, ერთმანეთის მხარდაჭერა. ძალიან კარგი ადამიანებისგან შემდგარი გუნდია, რაც ჩემი აზრით ძალიან მნიშვნელოვანია სამუშაო ადგილას, განსაკუთრებით მაშინ როცა დროის დიდ ნაწილს, როგორც სამსახურში ასევე სამსახურს მიღმა ამ ადამიანებთან ერთად ატარებ."- ამბობს შალვა გიორგობიანი.

“We started electricity generation in 2020, it’s the third year already that we have been generating electricity. From the very first day, we did not have any occasions when we had to face any kind of risk or challenge. On one side, standards of the plan each team member follows are very high and on the other side, there is tight coordination of all different teams, all the team work, supporting each other. This is a team comprised of truly good people which I believe is immensely important at the workplace, especially when you spend so much of your time both at work and outside it with those people” - says Shalva.

ჩვენი საერთო, ყოველდღიური მიზანი ელექტროენერგიის უსაფრთხო წარმოება და ელექტროსისტემისთვის მიწოდებაა, საიდანაც უკვე ჩვენი ქვეყნის თოთოეულ მოქალაქემდე აღწევს ჩვენი საქმიანობის შედეგად გამომუშავებული ელექტროენერგია. ამ საქმიანობის წარმატებით განხორციელების პროცესში ჩემი და ჩემი გუნდის საქმიანობა ძალიან მნიშვნელოვანია"- ამბობს, შალვა გიორგობიანი.

Our common, daily goal is secure process of electricity generation and transmission it to the electricity grid, from where each of your citizen is supplied with the electricity that is generated as a result of your work. In successful implementation of this process, the work my team and I do is very important" - mentioned, Shalva Giorgobiani.

მიაჩნია რომ კომპანიის წარმატებაში, უცხოელი პროფესიონალების როლი დიდია. მათთან ერთად ყოველდღიური საქმიანობა, თოთოეულ ინჟინერს განვითარებაში, მუდმივად ახლის სწავლაში ეხმარება.

He believes that foreign professionals play important part in the company’s success. Working with them every single day helps each engineer to develop, constantly learn something new.





სხვა ინჟინრების მსგავსად ცხოვრების დიდ ნაწილს სამუშაო დროის დასრულების შემდგომ კომპანიის კემპზე ატარებს, სადაც ინჟინრები ცხოვრობენ. საცხოვრებელი გარემო სრულად აღჭურვილია ჯანმრთელი ცხოვრების წესისთვის მნიშვნელოვანი ყველა ინვენტარით. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია დასაქმებულებს საუკეთესო პირობებს სთავაზობს, კომპანიის თანამშრომელთა დიდ ნაწილს, ოჯახის წევრებისგან მოშორებით უწევთ დიდი დროის გატარება. შალვა თვლის, რომ ეს გამოწვევაა, თუმცა როცა იმ საქმე რასაც აკეთებ მართლა გიყვარს, ამ გამოწვევასაც უკლავდები.

Similar to other engineers, he spends his time after work hours at the company’s camp site, where engineers live. The place is equipped all the essential inventory for healthy life. Even though the company offers the best possible conditions to its employees, a large portion of company’s staff members have to spend much time far from their families. Shalva thinks it is quite a challenge, but when you do the job you truly love, you can cope with this challenge.

,,ენერგო კომპანიაში მუშაობა, მიშვნელოვნად განსხვავდება სხვა პროფესიის ადამიანის საქმინობისგან. შენი ცხოვრების უმეტეს ნაწილს ჰესზე ატარებ, საღამოს კომპანიის საცხოვრებელ კომპლექსში რჩები, მეორე დილით კი კვლავ შენი საქმის გასაგრძელებლად მიდიხარ. შენი პასუხისმგებლობა დიდია, იცი რომ კომპანიის გუნდის მნიშვნელოვანი ნაწილი ხარ და თითოეულ მათგანთან ერთად სინქრონულად უნდა იმშუშავო რომ დასახულ მიზანს მიაღწიოთ.

,,Working for the energy company is significantly different from other professions. You spend the majority of your time at the power plant, you stay in the company’s camp site and you get up the next morning to continue doing your job. Your responsibility is huge, you realize that you are important part of the company’s team and you need to work in harmony with each of them to achieve the set goal together.

"როგორც სხვა დარგები, ასევე ენერგეტიკა მუდმივად ვითარდება, ჩვენს დროში ეს ტემპი კიდევ უფრო სწრაფია ვიდრე ადრე. კარგი გრძნობაა, როცა წარმატებული გუნდის ნაწილი ხარ, რომელიც სულ სწავლობს, წინ მიდის ვითარდება და ამავდროულად მუდმივი წვდომა გაქვს დარგში არსებულ ყველა ტექნოლოგიურ პროგრესზე"
- ამბობს შალვა გორგობიანი.

“Similar to other fields, the energy sector constantly develops, in our time, this pace of development is even faster than before. It’s a good feeling to be a part of a successful team which constantly learns, moves forward, develops and at the same time, you have unlimited access to all the technological progress achieved in the field” - states Shalva.


SAFETY FIRST

ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მაღალი სტანდარტი კომპანია "აჭარისწყალი ჯორჯიას" პრიორიტეტად რჩება "შუახევი ჰესის" ოპერირების ეტაპზეც. კომპანიის შრომისა და უსაფრთხოების პროცედურები სრულ თანხვედრაშია როგორც საქართველოს კანონმდებლობასთან, ასევე საერთაშორისო სტანდარტებთან.

24-საათიან რეჟიმში მიმდინარეობს მონიტორინგი, რათა კანონმდებლობასთან თანხვედრაში იყოს გათვალისწინებული ყველა რისკფაქტორი; რისკების იდენტიფიცირება და საფრთხეების გამოვლენა; რისკების მართვის დოკუმენტების შემუშავება; პროცედურების გადახედვა-განახლება და დანერგვა, ინციდენტების მოკვლევა, ეფექტური ტრენინგების დაგეგმვა-ჩატარება, შრომის უსაფრთხოების კულტურის იმპლემენტაცია.

თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, 2022 წელს ჩატარდა შემდეგი ტრენინგები:

ავტომობილის უსაფრთხო მართვა უგზოობის პირობებში; სიმაღლეზე მუშაობის ტრენინგი; ელექტროუსაფრთხოების ტრენინგი; პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგი; საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ტრენინგი; "ლოტოს" ტრენინგი; სახანძრო უსაფრთხოების პრაქტიკული ტრენინგი.

კომპანია უზრუნველყოფს ტრენინგების ჩატარებას მაღალი კვალიფიკაციის, საერთაშორისო გამოცდილების მქონე ტრენერების მიერ.

ტექნიკური გუნდი ყოველწლიურად გადის სალექციო კურსს კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, რომლის დასრულების შემდეგ მონაწილეებს ენიჭებათ შესაბამისი სერტიფიკატი, რაც უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას უსაფრთხო ელექტროენერგიის გამომუშავების პროცესში.

The high standard of health and labor safety remains the main priority of the company Adjaristsqali Georgia LLC even at the stage of operation of the Shuakhevi HPP. The company's labor and safety procedures are in full compliance with both Georgian legislation and international standards .

Monitoring is carried out 24/7 in order to consider all risk factors in accordance with the legislation & laid down standards and procedures; identify risks and threats; develop risk management documents; review, update and implement procedures; investigate incidents; plan and conduct effective training; and implement labor safety culture.

In order to raise employee skills, several trainings were held in 2022.

These trainings included safe driving in off-road conditions, training for work at height, electricity safety training, first aid training, emergency response training, "LOTO" training, and fire safety training including hands on fire fighting excercise.

The company provides training by highly qualified trainers with international experience.

The technical team takes a course every year to improve their qualifications, after which they are awarded the appropriate certificate. The certificate ensures their participation in the process of safe electricity generation and maintenance activities.



კომპანია "აჭარისწყალი ჯორჯიასთვის" ასევე მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება უსაფრთხოების თვალსაზრისით. ამ მიზნის მისაღწევად შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა, რომლის შესაბამისად ტარდება შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან. უწყვეტ რეჟიმში მოქმედებს წინასწარი პროგნოზის მეტეოსადგურები ზედა მთიანეთში - გოდერძისა და დიდაჭარას, სხალთისა და ჩირუხის წყლის ხეობაში, კაშხლების ზემოთ.

ადრეული განგაშის სიგნალები დაყენებულია წყალმიმღებებზე და კაშხლებზე. დაცულია მდინარეების: ჩირუხის, აჭარისწყლისა და სხალთისწყლის კაშხლები, ქვედა ბიეფები და მდინარის კალაპოტები. ყველა ტერიტორია კონტროლდება უსაფრთხოების პერსონალის მიერ. განთავსებულია 70-ზე მეტი საინფორმაციო პოსტერი მოქალაქეების უსაფრთხოების მიზნით.

კომპანია "აჭარისწყალი ჯორჯიას" მიერ ჰესის ოპერირების არეალში დამონტაჟებულია თანამედროვე ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები. გენერატორები, ძალოვანი ტრანსფორმატორები, ცენტრალური მართვის ფარი აღჭურვილია ინდივიდუალური ხანძარქრობის სისტემებით. სადგური აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სასიგნალო მოწყობილობებით, კვამლის დეტექტორებით, გადასატანი ცეცხლმაქრებით, გარე და შიდა სახანძრო ონკანებით.

კომპანია "აჭარისწყალი ჯორჯია" ხელმძღვანელობს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმით. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია "შუახევი ჰესის" პოტენციური საგანგებო მდგომარეობები, მათი მართვის პროცედურები, პრევენციული ზომები და შემარბილებელი ღონისძიებები. დოკუმენტში ნომინირებულია საგანგებო სიტუაციების მართვის ჯგუფი, რომელთა შორისაც გადანაწილებულია უფლებამოსილებები. ჯგუფი მზადაა კოორდინირებულად იმოქმედოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან და ცენტრალურ სადისპეჩერო ცენტრთან ერთად, ნებისმიერ სახის ინციდენტის თავიდან ასაცილებლად.

Raising safety awareness of civil society is a priority for Adjaristsqali Georgia LLC. To achieve this goal, a Stakeholder Engagement Plan is developed and meetings are held with the local population as per the plan.. In addition, weather forecasting stations in the catchment areas like Goderdzi and Didachara, Skhalta & Chirukistsqali valleys.

Early alarm signals have been set at all dams. The weirs and dams on the rivers Chirukhi, Adjaristskali and Skhaltistskali. All thee areas are well protected by the security personnel deputed at each location. To ensure civil safety, more than 70 informational posters are displayed at prominent locations

Modern fire protection systems have been installed in operation areas of HPP. Generators, power transformers, and central control panels are equipped with individual fire extinguishing systems. The station is equipped with fire alarm devices, smoke detectors, portable fire extinguishers, as well as external and internal fire hydrants.

Adjaristsqali Georgia, LLC is guided by an emergency management plan. This document describes the potential emergencies of Shuakhevi HPP, emergency management procedures, and preventive and mitigating measures. The document nominates an emergency management group, which has distributed authorities among its members and shows readiness to act in coordination with the Emergency Situation Management Service and Central Dispatch Center to avoid any type of incident.



# SAFETY PERFORMANCE MONITORING ON MONTHLY BASIS




| Category | № | % |
|---|---|---|
| H&S | 17 | 29.31% |
| Electro-Mechanical | 10 | 17.24% |
| Civil | 9 | 15.52% |
| Operation | 6 | 10.34% |
| Environmental | 5 | 8.62% |
| O&M | 5 | 8.62% |
| Security | 4 | 6.90% |
| Road Safety | 2 | 3.45% |
| **Grand Total** | **58** | **100.00%** |

october - 22

| Indicator | KPI | Target | Unit | Actual for October | Actual Year till date | Remarks |
|---|---|---|---|---|---|---|
| Lead | Compliance to Fire Safety maintenance plan | 100 | % | 100 | 100 | Fire Safety Maintenance has been performed at the end of the month of September. |
| Lead | Adherence to Emergency Mock drill Plan | 100 | % | N/A | 75 | Injured Person Evacuation Mock Drill is planned to be performed in the month of November. |
| Lead | Safety Training Compliance | 100 | % | 100 | 100.00 | Negotiation with Defensive Driving Companies are ongoing and Training will be done in the month of November. |
| Lead | Compliance to Audit Action points | 100 | % | 100 | 100 | PTW Audit has been performed. 3 NC's has were observed and 3 of them were closed. |
| Lead | HSE Committee meeting | 100 | % | 100 | 100 | HSE Committee meeting has been held at 28th of October. |
| Lag | Unsafe Conditions / Actions Reported Vs Resolved | 100 | % | 20.00 | 57 | 10 observations (positive, unsafe act & condition) were observed totally in the month of October. All 10 observations are added in ATR and 2 of them is already closed out. Rest 8 is ongoing process to close out. |
| Lag | Near Miss Reported / Evaluated | 100 | % | 0 | 100 | No Near Miss was reported in the month of October |
| Lag | Incident Investigations | 100 | % | 100 | 100 | |
| Lag | First Aid Cases | Zero | Nos | 0 | 0 | |
| Lag | Medical Treatment Case | Zero | Nos | 0 | 0 | |
| Lag | Fatality | Zero | Nos | 0 | 0 | |
| Lag | Lost Time Injury Frequency Rate | Zero | Nos | 0 | 0 | |




| Type of Observation | № |
|---|---|
| Unsafe Condition | 39 |
| Positive | 10 |
| Unsafe Act | 5 |
| Observation | 2 |
| Near Miss | 2 |
| **Grand Total** | **58** |




| Status | № | % |
|---|---|---|
| Closed | 34 | 57% |
| Open | 14 | 24% |
| Ongoing | 11 | 19% |
| **Grand Total** | **58** | **100.00 %** |

# გარემოს დაცვა
# Environmental Protection



# გარემოს დაცვა
# ENVIRONMENTAL PROTECTION

გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხები დღითიდღე უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება საქართველოსთვის. შესაბამისად, ბიზნესსექტორი, განსაკუთრებით კი განახლებადი ენერგიების მწარმოებელი კომპანიები, დიდი ყურადღებით უდგებიან გარემოს დაცვის საკითხებს. ჩვენ ძალისხმევას არ ვიშურებთ, რათა ვიყოთ პასუხისმგებლიანი კომპანია, მინიმუმამდე შევამციროთ გარემოზე ზემოქმედების რისკები და გადავდგათ ხელშესახები ნაბიჯები მდგრადი განვითარების კუთხით.

კომპანიას შემუშავებული აქვს გარემოსდაცვითი პოლიტიკა, რომელიც გამოხატავს მზაობას, შესაბამისობაში იყოს საქართველოს გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სტანდარტებთან. ჩვენ დავნერგეთ გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემა, რომელიც აგებულია ISO 14001-ის პრინციპებზე. იგი საშუალებას გვაძლევს დავისახოთ მიზნები და გავზომოთ მიღებული შედეგები. კომპანიის თანამშრომლების, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების დახმარებით მუდმივად ვცდილობთ გავაუმჯობესოთ გარემოსდაცვით მენეჯმენტის სისტემა.

იმისთვის, რომ გავზომოთ ჰესის ოპერირების ზეგავლენა გარემოზე, კომპანიას დანერგილი აქვს მონიტორინგის სისტემა სხვადასხვა მიმართულებით. განსაკუთრებით ინტენსიურია ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი. 2013 წლიდან მიმდინარეობს თევზის, მდინარის მაკროუხერხემლოების, მსხვილი და წვრილი ძუძუმწოვრების, ფრინველების, ამფიბია-რეპტილიების, ფლორის მონიტორინგი. შედეგების სტატისტიკური დამუშავების შედეგად დგინდება, არის თუ არა ცვლილება სახეობრივ მრავალფეროვნებაში და რაოდენობაში (სიმჭიდროვე), რათა საჭიროების შემთხვევაში განისაზღვროს საკომპენსაციო ღონისძიებები.
მიუხედავად იმისა, რომ დღემდე სტატისტიკური ანალიზის შედეგები არის დადებითი, კომპანია გარემოსდაცვითი ნებართვის ფარგლებში მაინც ახორციელებს საკომპენსაციო ღონისძიებას, კერძოდ, მდინარის ადგილობრივი კალმახით დათევზიანებას, რაც წარმატებით ხორციელდება უკვე მეორე წელია.

Day by day, environmental protection and climate change-related issues are becoming more important for Georgia. Accordingly, the business sector and especially the companies producing renewable energy pay great attention to the issue of environmental protection. We do our best to be a responsible company, minimize the risks of environmental impact, and take tangible steps toward sustainable development.

The company has already developed an environmental policy to express its readiness to comply with the environmental legislation of Georgia and the standards of international financial institutions. We have implemented an environmental management system, which is in accordance with the principles of ISO 14001. It enables us to set goals and measure results. We constantly try to improve the environmental management system with the help of company employees, as well as local and international experts.

In order to measure the HPP operational impact on the environment, the company has implemented a monitoring system in various directions. The monitoring of biodiversity is particularly intensive.  Since 2013, the monitoring of fish, river macroinvertebrates, large and small mammals, birds, amphibians-reptiles, and flora is ongoing. The statistical processing of results helps determine whether there has been a change in species diversity and quantity (density), so that if necessary, compensatory measures can be implemented. Although the current results of the statistical analysis are positive, the company still implements a compensatory measure within the framework of the environmental permit, namely enriching the river with local trout, which is in itssecond year of successful implementation. As part of the compensation measure, afforestation took place in Shuakhevi and Khulo municipalities.

ასევე, საკომპენსაციო ღონისძიების ფარგლებში გაშენდა ტყე შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში. ჩვენ ვთანამშრომლობთ ველური ბუნების სააგენტოსთან, რომელიც კომპანიის დაფინანსებით 9,5 ჰექტარ ტყეს გააშენებს მაღალმთიან აჭარაში.

გარემოსდაცვითი გუნდი აქტიურად მუშაობს ახალგაზრდა თაობასთან, რათა გავზარდოთ ცნობიერება გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებაში. ოპერირების არეალში არსებულ სკოლებში ტარდება შეხვედრები სკოლის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან, სადაც არაფორმალურ გარემოში ვესაუბრებით ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობაზე და მისი დაცვის აუცილებლობაზე. მიმდინარე წლის 5 ივნისს კომპანიის თანამშრომლებმა სხალთის საშუალო სკოლის მოსწავლეებთან ერთად სკოლის ეზოში დარგეს ნარგავები და ასე აღნიშნეს გარემოს დაცვის მსოფლიო დღე.

გარდა იმისა, რომ ვცდილობთ მაქსიმალურად შევასრულოთ ჩვენ მიერ აღებული ვალდებულებები მდინარის წყლის ხარისხისა და მდინარის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების, ჰაერის, ნიადაგის, ფლორისა და ფაუნის სახეობების დაცვის მიმართულებით, მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიის გააჩნია გრძელვადიანი მიზნებიც: საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის მაქსიმალურად შემცირება, ენერგიის დაზოგვა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენების გამოწვეული ემისიების მინიმუმამდე დაყვანა.

We cooperate with the National Agency of Wildlife, which is planting 9.5 hectares of forest in the highlands of Adjara with the company's funding,

The environmental team actively works with the younger generation to raise awareness of environmental issues. Meetings with schoolchildren and teachers are held in schools in the area of operation, where we talk about the importance of biodiversity and the need to protect it in an informal environment. On June 5 of this year, company employees and the students of Skhalti secondary school planted saplings in the schoolyard and celebrated World Environment Day.

In addition, we try to fulfill our obligations to the best of our ability in the direction of maintaining river water quality and river biodiversity, as well as protecting the air, soil, flora, and fauna species. In order to ensure sustainability, the company also has the following long-term goals: minimizing the generation of household and hazardous waste, saving energy, and minimizing emissions caused by the use of motor vehicles.



# გარემოს დაცვის დღე

## World Envirnment Day
























# გარემოს დაცვა

# Environmental Protection



იქთიოლოგი - არჩილ გუჩმანიძე
**Ichthyologist - Archil Guchmanidze**

## შუახევი ჰესი აჭარისწყლის აუზის დათევზიანებას აგრძელებს

კომპანია,,აჭარისწყალიჯორჯია"გარემოსდაცვითი ვალდებულებების ფარგლებში აჭარისწყლის აუზის დათევზიანებას აგრძელებს. წელს კომპანიამ, დათევზიანების მეორე ეტაპი განახორციელა და მდინარის აჭარისწყლის აუზში 11 000 ცალი ნაკადულის კალმახის ლარვა გაუშვა.

ნაკადულის კალმახი საქართველოს "წითელი ნუსხის□ ობიექტია და მინიჭებული აქვს მოწყვლადის სტატუსი. აღნიშნული აქტივობა ხელს შეუწყობს ნაკადულის კალმახის აღდგენასა და შენარჩუნებას. დათევზიანების პროცესს უზრუნველყოფენ ადგილობრივი თევზსაშენი და ქართველი იქთიოლოგები.

2020 წელს "აჭარისწყალი ჯორჯიას" მიერ შერჩეული იქნა რეგიონში მოქმედი ყველაზე მსხვილი, თანამედროვე აღჭურვილობით და კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული თევზსაშენი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნულ პროცეს.

დათევზიენების/რესტოკინგის მონიტორინგს კომპანია "აჭარისწყალი ჯორჯია" შუახევი ჰესის პროექტის ფარგლებში წელიწადში ოთხჯერ, კონმპანიის გარემოსდაცვითი გეგმის ფარგლებში მიმდინარე იქთიოლოგიური მონიტორინგის მეშვეობით ახორციელებს, რომელიც მიმდინარეობს 2014 წლიდან და მომდევნო წლებშიც გაგარძელდება.

## SHUAKHEVI HPP CONTINUES FISH STOCKING IN ADJARISTSKALI BASIN

Adjaristsqali Georgia LLC (AGL), as part of its environmental obligations, continues fish-stocking activities in the Adjaristsqali Basin. This year, the company has finalized stage two of fish stocking by releasing 11,000 river trout into the Adjaristskali basin.

The river trout is on Georgia's Red List as an endangered species. The company's above- mentioned activity above is designed to promote the preservation of the river trout. The process of fish stocking is implemented by a local fish farm and Georgian ichthyologists.

In 2020, Adjaristsqali Georgia selected and put in charge of said process the region's largest fish farm Boasting Modern Equipment and Top-notch staff.

The process of fish stocking/restocking is monitored by Adjaristsqali Georgia on a quarterly basis, under its Shuakhevi HPP project, through ichthyologic monitoring underway as part of the company's environmental plan ongoing since 2014 and set to continue in the years to come.



აღნიშნული მონიტორინგის ფარგლებში ხორციელდება იქთიოფაუნის, მათ შორის ნაკადულის კალმახის რაოდენობრივ-ხარისხობრივი პარამეტრების მონიტორინგი, წინასწარ შერჩეულ სადგურებზე.

„კომპანია „აჭარისწყალი ჯორჯიას" მიერ განხორციელებული აქტივობები ნათლად წარმოაჩენს კომპანიის მაღალ გარემოდაცვით პასუხისმგებლობას - წვლილი შეიტანოს მდინარე აჭარისწყლის აუზის იქთიოფაუნის შენარჩუნების და აღდგენის საქმეში, ამ მხრივ საუკეთესო მიდგომებისა და პრაქტიკის იმპლემენტაციით. კომპანია ერთის მხრივ მრავალი წელია ახორციელებს ინტენსიურ და რუტინულ მონიტორინგს, ხოლო მეორეს მხრივ გარემოსდაცვითი ვალდებულებების ფარგლებში, აღნიშნულ მონიტორინგზე დაყრდნობით ატარებს პრაქტიკულ ღონისძიებებს გადაშენების პირას მყოფი სახეობის რესტოკინგის სახით, რაც გამოიხატება ნაკადულის კალმახის აბორიგენული ფონდიდან მიღებული ლარვების გაშვებას მათთვის სახასიათო ლოკაციებსა და ჰაბიტატებში." - ამბობს იქთიოლოგი, არჩილ გუჩმანიძე.

აჭარისწყლის აუზის დათევზიანება განხორციელდა - რესტოკინგის საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული ყველა პრინციპის გათვალისწინებით: პოპულაციური, გეოგრაფიული, გენეტიკური და ეკოლოგიური პრინციპი.

კომპანია „აჭარისწყალი ჯორჯიას" გარემოსდაცვით გუნდს ნინო გაგუა ხელმძღვანელობს. ის აღნიშნავს, რომ გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულება, კომპანიის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

This monitoring activity involves keeping an eye on the quantitative and qualitative parameters of aquatic fauna, including the river trout, at preselected stations.

“The activities implemented by Adjaristsqali Georgia bear witness to the company’s high environmental responsibility and commitment to contributing to the cause of maintaining and reviving the Adjaristskali basin aquatic fauna, through utilizing the best approaches and practices in this sphere. On one hand, the company has a years-long record of intensive routine monitoring, while—under its environmental obligations and based on said monitoring—also taking practical measures toward restocking endangered species, on the other. In practice, the foregoing means extracting aboriginal larvae and releasing them into their characteristic locations and habitats.” - ichthyologist Archil Guchmanidze explains.

Our fish-stocking efforts in the Adjaristsqali Basin meet every principle—those populated-related, geographic, genetic, and environmental alike—adopted in international restocking practices.

Adjaristsqali Georgia’s environmental team is led by Nino Gagua, who singles out environmental obligations as a must and the company’s top priority.



„ჩვენი კომპანია, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობების შესრულები მიზნით, ასევე გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ფარგლებში ახორციელებლს სხვადასხვა სახის საკომპენსაციო და შემარბილებელ ღონისძიებებს. აჭარისწყლის აუზის "საქართველოს წითელი ნუსხის" სახეობით, კერძოდ ნაკადულის კალმახით დათევზიანება, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკომპენსაციო ღონისძიებაა

დათევზიანების პროცესში კომპანიას ჩართული ჰყავს მაღალი კვალიფიკაციის მქონე დარგის ექსპერტები, რათა საკომპენსაციო ღონისძიებამ გამოიღოს სასურველი შედეგი. დათევზიანების დაგეგმვა და განხორციელების ყველა ეტაპი შეთანხმებულია შესაბამის სამინისტროსთან. " - აღნიშნა ნინო გაგუამ.

2021-2022 წლებში შუახევი ჰესის მიერ აჭარისწყლის აუზში გაშვებული კალმახის ლიფსიტის რაოდენობა 21 000 შეადგენს. მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით და გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით, კომპანია შემდგომ წლებშიც გააგრძელებს აჭარისწყლის აუზის დათევზიანებას.

“To meet the conditions issued by the Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia, and as part of the company’s Corporate Environmental Responsibility, Adjaristqali Georgia carries out a whole set of compensatory and mitigation activities. Fish stoking is one of the most important compensatory measures.

For its fish-stocking efforts, the company engages the sphere’s highly qualified experts, to ensure that this compensation measure yields desired outcomes. Every step on our fish stocking plan and its implementation is coordinated with the relevant Ministry.” - Nino Gagua says.

In 2021-2022, the Shuakhevi HPP has released 21,000 trout fries into the Adjaristskali basin. Based on the results of monitoring, and in coordination with the Ministry of Environmental Protection and Agriculture, the company is committed to continuing fish stocking in the Adjaristskali basin.




ფოტო-ხაფანგის მიერ გადაღებული ფოტოები
CAMERA-TRAP PHOTOS

# კორპორაციული პასუხისმგებლობა
# Corporate responsibility



# კორპორაციული პასუხისმგებლობა
# Corporate responsibility

მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობის ცხოვრების დონისა და კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით "აჭარისწყალი ჯორჯია" თემში ინვესტირების (community investment) მექანიზმს იყენებს და მას სამი მიმართულებით წარმართავს. ეს მიმართულებებია: განათლება და ცნობიერების ამაღლება, თემების განვითარება და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. მშენებლობის პერიოდიდან დღემდე ჩვენი სოციალური პროგრამების პორტფოლიო ასობით გრძელვადიან და შედეგზე ორიენტირებულ პროექტს ითვლის. თემთან დიალოგი და კომუნიკაცია ელექტროენერგიის გამომუშავების ეტაპზეც გრძელდება. საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები მუდმივად ხვდებიან მოსახლეობას და აწვდიან ინფორმაციას კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებით, მოსახლეობასთან ერთად ხდება სხვადასხვა სოციალური პროექტის დაგეგმვა.

In order to improve the standard of living and well-being of the population of mountainous Adjara, our company Adjaristsqali Georgia, LLC uses the mechanism of community investment in three directions, including education and awareness raising, development of communities, and improvement of local infrastructure. From the period of construction until today, our portfolio of social programs counts hundreds of long-term and results-oriented projects. Dialogue and communication with the community continues at the stage of electricity generation. Public relations officers constantly meet with representatives of the population and provide information on company activities. Various social projects are being planned along with the population.

განათლება და ცნობიერების ამაღლება კვლავ რჩება ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად. კვალიფიცირებული კადრების მომზადებისა და გადამზადების მიზნით, კომპანია ახორციელებს სტუდენტთა სტაჟირებას "შუახევი ჰესში". პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ელექტრომექანიკური დეპარტამენტის ზედამხედველობის ქვეშ გაეცნენ ელექტროენერგიის წარმოების სხვადასხვა ასპექტს, შეისწავლეს ჰესის უსაფრთხოების საკითხები და მაღალი ძაბვის ობიექტების სპეციფიკა. მიმდინარე წელს კომპანიამ ელექტრობის პროგრამის 9 სტუდენტი გადაამზადა.

Education and raising awareness remains one of the priority directions. To train and retrain qualified staff, the company provides student internships at Shuakhevi HPP. Within the framework of the program, students under the supervision of the Electromechanical Department got acquainted with various aspects of electricity production and studied the safety issues of the HPP and the specifics of high-voltage units. This year, the company retrained nine students from the electrical engineering program.

მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობის უმრავლესობა მოწყვლადია, უსახსრობის გამო ოჯახები ვერ ახერხებენ აბიტურიენტთა სათანადო მომზადებას. ამ საკითხის ხელშეწყობის მიზნით "აჭარისწყალი ჯორჯიამ" სოფელ დიდაჭარაში გახსნა აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრი ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, სადაც ამჟამად 3 სოფლიდან 22 ბავშვი სწავლობს. ცენტრში მოქმედებს 6 საგნობრივი ჯგუფი: ქართული ენა, მათემატიკა, ისტორია, ბიოლოგია, ქიმია და ინგლისური ენა.

The majority of the population of mountainous Adjara is vulnerable, and due to a lack of funds, families are not able to properly train the entrants. In order to address this issue, Adjaristsqali Georgia, LLC has opened a preparatory center for entrants for the unified national exams in the village of Didachara, where 22 children from 3 villages are currently studying. The center has six subject groups, including Georgian language, mathematics, history, biology, chemistry, and English language.

"აჭარისწყალი ჯორჯია" კვლავაც აგრძელებს სტუდენტთა დაფინანსებას. მიმდინარე წელს კომპანიის ყოველთვიურ სტიპენდიას 5 სტუდენტი იღებს.

Adjaristsqali Georgia, LLC continues to finance student education. This year, five students will receive the company's monthly scholarship.

თემების გაძლიერება მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ისევ გრძელდება. კომპანიამ 4 ფერმერს დაუფინანსა ბიზნესიდეა, რომლებიც მოიაზრებდა საოჯახო სასტუმროს კეთილმოწყობას, კაკლის საშრობი დანადგარის შეძენას, ჟოლოს მეურნეობის განვითარებასა და მეცხოველეობას.

The small business support program continues to strengthen communities. The company financed four farmers with business ideas, such as improving a guesthouse, purchasing a walnut drying machine, developing raspberry farming, and animal husbandry.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ისინი ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან ერთად პარტნიორობის ფარგლებში ხორციელდება.

Infrastructural projects are implemented within the framework of a partnership with local municipalities.

მიმდინარე წელს კომპანიამ შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები დააფინანსა:
სოფელ წაბლანა-წაბლიანის წყალსადენის მაგისტრალის მშენებლობა - ხულოს მუნიციპალიტეტი;
ჩანჩხალოს ბაგა-ბაღის ეზოს კეთილმოწყობა - შუახევის მუნიციპალიტეტი;
ბაგა-ბაღის მშენებლობა სოფელ მახალაკიძეებში - შუახევის მუნიციპალიტეტი.

This year, the company has funded the following projects:
Construction of the water main of the village of Tsablana-Tsabliani, Khulo municipality;
improvement of the Chanchkhalo nursery school yard, Shuakhevi;
and the construction of a nursery school in the village of Makhalakidzeebi, Shuakhevi.

ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ ჩვენს პასუხისმგებლობას ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე, თავს მოვიაზრებთ ამ საზოგადოების წევრად და ჩვენი მხარდაჭერით გვინდა გავხდეთ "საიმედო მეზობელი" "შუახევი ჰესის" არეალში მცხოვრები მოსახლეობისთვის.

We are well aware of our responsibility to the local population, we see ourselves as a member of this society, and we want to become a "neighbor of choice" for the population living in the area of the Shuakhevi HPP.

## ადამიანები მაღალმთიანი აჭარიდან

## People From High Montainous Ajara

### ერთადერთი კაფე სოფელ ყინჩაურში

"კომპანია აჭარისწყალი ჯორჯია" როგორც მშენებლობის, ასევე ოპერირების პერიოდში აფინანსებდა და აფინანსებს სოციალურ და მიკრობიზნესპროექტებს აჭარაში, მათ შორის, სოფელ ყინჩაურშიც.

კომპანიას სოციალური პასუხისმგებლობის ნიშნით სპეციალური მემორანდუმი აქვს გაფორმებული სოფელ ყინჩაურთან და ყოველწლიურად აფინანსებს ბიზნესპროექტებს. ასე დაფინანსდა 6 სხვადასხვა მიმართულების საქმიანობა სოფელ ყინჩაურში, სადაც უკვე 2021 წლის დეკემბრიდან პატარა კაფეც ამოქმედდა სხალთის მონასტერთან ახლოს, "აჭარისწყალი ჯორჯიას" ფინანსური ხელშეწყობით.

კაფეს მასპინძელი 50 წლის გულიკო აბაშიძეა მეუღლესთან ერთად, თუმცა სოფელში კაფეს გახსნის იდეა მათ რძალს, თამარ შაინიძეს ეკუთვნის. თამარმა პროექტი დაწერა და "აჭარისწყალი ჯორჯიას" კონკურსზე წარადგინა. მისი პროექტი მოიწონეს და დააფინანსეს.



### The only cafe in the village Kinchauri

Throughout both construction and operation phases, Adjaristsqali LLC has been financing a variety of social and microbusiness projects in Adjara, including the village of Kinchauri.

The company enjoys a special social responsibility memorandum with the village of Kinchauri to finance business projects every year. This is how assistance was provided in six different directions in the village of Kinchauri where, in December 2021, a small café opened near the Skhalta Monastery with financial support from Adjaristsqali Georgia.

The café is run by Guliko Abashidze, 50, and her husband, though the idea of opening it in the village was conceived by their daughter-in-law, Tamar Shainidze. Tamar put together a project and submitted it for a competition announced by Adjaristsqali Georgia. Eventually, her initiative was commended and financed.

## გულიკო აბაშიძე

## Guliko Abashidze

სხალთის მუზეუმის წინ ეს კაფე 2021 წლის დეკემბრიდან ფუნქციონირებს და ცენტრალურ გზაზე გამვლელ ტურისტებზე, ადგილობრივ მოსახლეობაზეა გათვლილი.

The café in front of the Skhalta Museum has been operating since December 2021, targeting both tourists traveling down the central road and local residents

"ვცდილობთ, სტუმრებს დავაგემოვნებინოთ შხამქიმიკატების გარეშე მოყვანილი ეკოპროდუქტი. რძის პროდუქტები, თაფლი, სეზონური ბოსტნეული და ბაღჩეული - ყველაფერი ადგილზე გვაქვს, მხოლოდ ნესვის და საზამთროს ყიდვა გვიწევს. ხანდახან, როცა მე არ მაქვს რამე ბოსტანში, მეზობლისგან გადმომაქვს, ეს მათთვისაც კარგია," - ამბობს გულიკო აბაშიძე.

“We seek to treat them to eco-friendly food products free from chemicals. Our dairy products, honey, seasonal vegetables, and gourds are all homegrown, with the exception of cantaloupes and watermelons which we buy in winter. Sometimes when I’m unable to get something in my vegetable garden, I buy it from my neighbors, which is good for them, too,” Guliko Abashidze says.

ის ყოველ დილით 8 საათზე დგება და კაფეს ხსნის. ზაფხულის სეზონის დადგომისთანავე ტურისტების რაოდენობამ მკვეთრად იმატა და ხანდახან გვიან ღამემდე უწევს გულიკოს მეუღლესთან ერთად კაფეში დარჩენა. სამომავლოდ აპირებს მზარეული და მიმტანი დაასაქმოს, ასე ის და მისი მეუღლე ძირითად სამსახურებსაც შეინარჩუნებენ და რამდენიმე სამუშაო ადგილსაც გააჩენენ სოფელში.

She gets up at 8 am every morning to open the café. Come summer tourists flock to the place, so Guliko and her husband sometimes end up staying in the café late into the night. Her future plans include hiring a cook and a waiter/waitress. This will allow her and her husband to keep their day jobs while creating new workplaces in the village.



კერძებს კაფეში ახლა გულიკო ამზადებს: უგემრიელეს სინორს, ახალამოყვანილი ყველის ბორანოს, აჭარულ ტკბილეულს - ბორეგს, ჰალვას და სხვას.

კაფეში აჭარულ ყავასაც ხარშავენ, სქელი ქაფით და ზომიერად შაქრით ან უშაქროდ. როცა ძალიან ცხელა, ტურისტები ცივ, ჩამოსასხმელ ლუდს აგემოვნებენ.

ხანდახან გულიკოსთან კაფეში მოსული სტუმრები იმდენად შინაურულ გარემოში გრძნობენ თავს, რომ კაფეს დიასახლისს ღამის გასათევსაც სთხოვენ, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახს ჯერ საოჯახო სასტუმრო არ აქვს. სოფელ ყინჩაურში, სხალთის მუზეუმის წინ მდებარე კაფე ერთადერთია მთელ სოფელში.

Presently, Guliko prepares dishes in the café. She makes mouthwatering sinori strips of pasta-like dough mixed with dairy products, borano made from fresh cheese, and all kinds of Adjara-style desserts, such as boregi, halva, and others.

The café also serves fresh Adjara-style coffee with rich foam on top, moderately sweetened or unsweetened altogether. When it gets really hot, tourists are treated to cold draft beer.

Sometimes guests feel so comfortable and at home in the café that they ask Guliko to let them stay overnight, even though her family does not own a family-run hotel yet—the café across from the Skhalta Museum in Kinchauri is so far the only establishment of this kind in the village.

სანამანამ იარსებებს ჩვენი კომპანია და გამოვიმუშავებთ ელექტროენერგიას, პარალელურად დავაფინანსებთ მსგავს პროექტებს მაღალმთიანი აჭარის, ტურისტული გარემოს განვითარებისთვის.

As long as our company exists and generates electric power, we will at the same time continue financing similar projects to develop the tourist environment in mountainous Adjara.

## კორპორაციული პასუხისმგებლობა
## Corporate responsibility

ჩვენი ინტერესის საგანია განვითარებაზე ორიენტირებული პროექტები, საოჯახო სასტუმროები, კაფე-ბარები და ა.შ. მცირე ბიზნესი, რომელიც სამომავლოდ სხვებსაც დაასაქმებს.

Development-oriented projects, such as family-run hotels, cafes and bars, and so on—that is, businesses with prospects of employment—are in our sphere of interest.













კომპანია "აჭარისწყალი ჯორჯიას" წარმომადგენელი სხალთის თემში, ჯანგულ შაინიძე ამბობს, რომ კომპანიისთვის პრიორიტეტულია ქალების მიერ ინიცირებული პროექტების ხელშეწყობა თემსა და მუნიციპალიტეტში ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის.

"თამარ შაინიძის პროექტი განვითარებაზე ორიენტირებული მცირე ბიზნესია, თან სტრატეგიულ ადგილზეა. ასეთი საქმიანობის ხელშეწყობა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

Jangul Shainidze, Adjaristsqali Georgia's corporate representative in the Skhalta Community, says that the company gives priority to supporting projects initiated by women, to ensure women's economic empowerment in the community and municipality.

"Tamar Shainidze's project involves a development-oriented small business, in a strategic location at that. Supporting such activities is very important to us.

დაფინანსებული გვაქვს ასევე საოჯახო სასტუმრო, თაფლის საწარმო და მესაქონლეობის მიმართულება, ეს პროექტებიც სოფელ ყინჩაურში ხორციელდება" - ამბობს "აჭარისწყალი ჯორჯიას" წარმომადგენელი.

კომპანიამ უკვე ექვსი ბიზნესპროექტი დააფინანსა. ჩატარდა ტრენინგები, პროექტის მონაწილეებს კონსულტაციებს უწევდნენ სპეციალისტები.

მცირე ბიზნესის მხარდაჭერას კომპანია "აჭარისწყალი ჯორჯია" მომავალშიც გეგმავს.

We have financed a family-owned hotel, a honey manufacturing company, and cattle-breading initiatives. These projects are implemented in the village of Khinchauri as well," Adjaristsqali Georgia's corporate representative says.

So far, the company has financed six business projects. Trainings have been held, and the projects' participants are consulted by specialists.

Adjaristsqali Georgia LLC is committed to continuing supporting small businesses in the future.

# ადამიანები მაღალმთიანი აჭარიდან

# People From High Montainous Ajara

## საოჯახო სასტუმრო "სხალთა"

## პატარა სამოთხე ხულოში

იზოლდა სურმანიძე სხალთაში ხიმშიაშვილების მუზეუმის დირექტორია, პარალელურად მუნიციპალიტეტის "ქალთა ოთახს" ხელმძღვანელობს და სოფლის საკუთარ სახლში უკვე ხუთი წელია საოჯახო სასტუმრო "სხალთას" ამუშავებს.

სახლი ხისაა. ეზოში შესვლისთანავე ხის სასიამოვნო სუნს იგრძნობთ. აქვეა ძველი ნალია, რომლის ქვეშაც უკვე დაჩეხილი და ზამთრისთვის მომარაგებული შეშაა გაფენილი.

სახლში საძინებლები, სამზარეულო, მისაღები ოთახი " ყველაფერი ხისაა, დიასახლისს არ შეუღებავს კედლები, ისე დატოვა, როგორც იყო, ბუნებრივად, რადგან აქ მოსულმა სტუმრებმა ბუნებასთან სიახლოვე სახლში ფეხის შედგმისთანავე უნდა იგრძნონ.



## Skhalta
## A family-run hotel

## Small paradise in Khulo

Izolda Surmanidze is the director of the Khimshiashvili Historic House Museum in Skhalta. At the same time, she is in charge of the municipal Women's Room, also managing Skhalta, a family-run hotel in her village home, for five years now.

As soon as you enter the yard surrounding her wooden house, you smell the pleasant fragrance of wood. Nearby there is an old nalia barn with firewood already chopped for winter and spread out at its feet.

Everything in the house, including bedrooms, the kitchen and the living room, is wooden. The hostess opted against painting the walls, instead leaving everything in its natural form, because guests must feel one with nature just as they set foot in her home.

# იზოლდა სურმანიძე

# Izolda SurmaniZe

სანამ სახლში შეხვალთ, უზარმაზარი, ნაყოფით დახუნძლული, ალუბლის, თეთრი თუთისა და მსხლის ხეების ქვეშ უნდა გაიაროთ. იქვეა ხის მრგვალი ფანჩატური, სადაც დიდი, ხის მრგვალი მაგიდა თითქმის ყოველდღე ივსება ათასგვარი კერძით სტუმრებისთვის.

იზოლდა სურმანიძემ საკუთარ საცხოვრებელ სახლში საოჯახო სასტუმრო 2017 წელს გახსნა. სივრცე თავიდან მხოლოდ 8 სტუმრისთვის იყო გათვლილი, ახლა კი საოჯახო სასტუმრო "სხალთას" უკვე 17 ვიზიტორის მიღება შეუძლია.

საოჯახო სასტუმროს განვითარებაში მას კომპანია "აჭარისწყალი ჯორჯიას" სოციალური პროექტების ფარგლებში გამოყოფილი დაფინანსება დაეხმარა.

სასტუმროს მეპატრონე საკუთარ ცხოვრებაზე, საქმიანობასა და სამომავლო გეგმებზე საუბრობს:

Before entering the house, you are strongly advised to stroll under the gigantic fruit-laden cherry, white mulberry, and pear trees. You will notice a round wooden panchaturi gazebo with a big, round wooden table full of all kinds of scrumptious dishes for guests nearly every day.

Izolda Surmanidze opened this family-run hotel in her home in 2017. At first, it could accommodate just eight guests. But now the Skhalta Hotel has expanded to host as many as seventeen visitors.

To develop her family-owned hotel, Izolda enjoys financing allocated under Adjaristsqali Georgia's social projects.

The hotel's proprietor talks about her life, endeavors, and plans for the future:



"ყოველთვის საზოგადოებრივი საქმით ვიყავი დაკავებული, ვყოფილვარ სოფლის საბჭოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარე, მერის წარმომადგენელი, ახლა მუზეუმის დირექტორი და ქალთა ოთახის ხელმძღვანელი ვარ.

ხალხზე ზრუნვის და პასუხისმგებლობის გრძნობა ამ ვალდებულებებით ჩამომიყალიბდა, ამის შემდეგ გაჩნდა ჩემს ცხოვრებაში საინტერესო იდეები, ეკონომიკური გაძლიერების სურვილი და საკუთარი ბიზნესის დაწყებაც ასე გადავწყვიტე.

მინდა ჩემი აქტიურობით სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს მაგალითი მივცე და ვაჩვენო, რომ აქაც შეიძლება ცხოვრება და საქმის კეთება, თუკი საკუთარ ცხოვრებას და ხვალინდელ დღეს კარგად დაგეგმავ"
- ამბობს იზოლდა სურმანიძე.

“I’ve always been involved in social activities. I have served as chairperson of the village council, chairperson of the local sakrebulo representative body, the mayor’s representative, and now as the museum’s director and the head of the Women’s Room.

Thanks to these obligations, I have developed a sense of caring and being responsible for people. At some point, new ideas emerged along with a desire to achieve economic empowerment - and this is how I decided to start a business of my own.

With my activity, I want to set an example for rural young people and show that one can live and do things here as long as you plan your life and future correctly,” Izolda Surmanidze reveals.

"აჭარისწყალი ჯორჯიას" დაფინანსებით ბევრი რამ შევმატე საოჯახო სასტუმროს. კიდევ ბევრი ჩანაფიქრი მაქვს, ეზოში მინდა მოვაწყო საკონფერენციო სივრცე. ჩემთან ხშირად მოდიან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ხვდებიან სხვადასხვა ჯგუფებს, ამ პრაქტიკამ მიბიძგა საკონფერენციო სივრცეზე ფიქრისკენ.

თაგოდანაც ხშირად ჩამოდიან ტურისტები და სადილს მიკვეთენ. ჩემი ვიზიტორების 50% უცხოელია. ამ დიდ სახლში მხოლოდ მე და ჩემი მეუღლე ვცხოვრობთ. ჩვენი სამი შვილი ბათუმშია" - ამბობს საოჯახო სასტუმრო "სხალთას" მეპატრონე.

“With financing from Adjaristsqali Georgia, I have added value to my family-run hotel in many ways. I have many other plans, too. I want to build a conference space in the yard. Representatives of various NGOs often come to my hotel to meet with different groups, a practice that has motivated me to consider building a conference venue.

Tourists also come to me from the village of Tago and often order meals. Half of my visitors are foreigners. It’s just my husband and I in this big house. Our three children live in Batumi,” the family-owned Skhalta hotel’s proprietor says.









პირველი გრანტი საოჯახო სასტუმროს მოსაწყობად მან 2016 წელს მიიღო პროექტიდან - "აწარმოე საქართველოში". იზოლდა ამბობს, რომ მის სახლში მუდმივად ხალხმრავლობა და სტუმრების მიმოსვლა იყო. სტუმართმასპინძლობის ეს ტრადიცია იზოლდამ საოჯახო ბიზნესის საფუძვლად აქცია.

იზოლდა სურმანიძე საოჯახო სასტუმროს ამოქმედებისთანავე მიხვდა, რომ სწორი ბიზნესსტრატეგია შეიმუშავა და სტუმრებიც არასდროს მოაკლდებოდა სხალთაში მის საოჯახო სასტუმროს:

She received her first grant to establish a family-owned hotel from project Produce in Georgia, in 2016. Izolda says that her home was always full of guests, a hotspot of hospitality of sorts. And she took advantage of this tradition of hospitality as the foundation for building her family-owned business.

As soon as she started operating her family-run hotel, Izolda Surmanidze realized that she had developed the right business strategy—her family-owned hotel in Skhalta would never lack visitors:



დღის განმავლობაში იზოლდა ხულოში მცხოვრებ ქალებს ხვდება "ქალთა ოთახის" ფარგლებში პრობლემებსა და გამოწვევებზე სასაუბროდ, სამუშაო დროს მუზეუმში ატარებს და საოჯახო სასტუმროს ვიზიტორთა მასპინძლობასაც ასწრებს.

მას მიაჩნია, რომ საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტისას ქალების როლი უმნიშვნელოვანესია, თუმცა ჩვენს ქვეყანაში ისევ არ აქვთ ქალებს გადაწყვეტილების მიმღებ ინსტანციებში საკმარისი ადგილი.

კომპანია "აჭარისწყალი ჯორჯია" მომავალშიც გეგმავს ქალების, და არამხოლოდ ქალების ბიზნესიდეების დაფინანსებას ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლებში. კომპანიისთვის ქალების ეკონომიკური გაძლიერება პრიორიტეტული მიმართულებაა.

"აჭარისწყალი ჯორჯიამ" 2020-21 წლებში სხალთის თემში 9 ბიზნესპროექტი დააფინანსა. წლევანდელი, 2022 წლის კონკურსისთვის ახალი განცხადებების მიღება ახლაც მიმდინარეობს.

Earlier in the day, Izolda meets with women from Khulo, to discuss their concerns and challenges, as part of the Women's Room. Next, she spends her workday proper in the museum, also managing to host her family-owned hotel's guests later.

She believes that the role of women is of paramount importance when it comes to solving social issues, though women at this point do not have enough voice in decision-making processes in our country.

Adjaristsqali Georgia LLC is committed to continuing financing business ideas by women, and not only, in the villages of Khulo Municipality. Women's economic empowerment is the company's priority direction.

In 2020-2021, Adjaristsqali Georgia financed nine business projects in the Skhalta Community. Applications are being accepted for this year's competition.



## კორპორაციული პასუხისმგებლობა

## Corporate responsibility





# ჩვენი გუნდი
# OUR PEOPLE



## ღირებულებები

- **პატიოსნება**: ქცევა ეთიკური ნორმების შესაბამისად; დაპირების შესრულება; გამჭვირვალე, ეთიკური, პასუხისმგებლიანი და სანდო მოქმედება.

- **უსაფრთხოება**: უსაფთხოება არის უმთავრესი ღირებულება და ვერცერთი ბიზნეს ამოცანა ვერ იქნება უფრო პრიორიტეტული.

- **გუნდური მუშაობა**: ერთად მუშაობით საუკეთესო შედეგების მიღება; ჩვენ მუდმივად ვზრუნავთ ინსპირაციაზე, ვაზიარებთ გამოცდილებას და ცოდნას დადებითი ცვლილებების განსახორციელებლად.

- **გარემოს დაცვა და სოციალური პასუხისმგებლობა**: გარემოს და ადამიანების დაცვა; ჩვენი პროექტების მდგრადი განვითარება, მშენებლობა, ოპერირება.

- **მოძრაობა**: სისწრაფე, აქტიურობა, სწრაფი რეაგირება მიღწეული ურთიერთთანამშრომლობით და დასაქმებულების გაძლიერების გზით.

- **ზრუნვა და პატივისცემა**: ყველა სტეიკჰოლდერზე ზრუნვა - მომხმარებლებზე, აქციების მფლობელებზე (არსებული და პოტენციური), ჩვენს საზოგადოებაზე, ჩვენს გუნდზე (დასაქმებულებზე და პარტნიორებზე), საჯარო უწყებებზე. ყველა სტეიკჰოლდერთან პატივისცემის და ღირსების დემონსტრირება.

- **სრულყოფილება**: ყველაფრის (მიმართულების დასახვა, აქტივობები, ანალიზი, გეგმა, რისკების შემცირება და. ა.შ) სიღრმისეულად გაკეთება და ყველა სფეროში ხარისხის უზრუნველყოფა (ოპერაციების, პროცესების განხორციელების და პროცედურების უწყვეტი გაუმჯობესება).

## Values

NOTE

- **INTEGRITY**: Act according to the ethical principles; deliver what we promise; act transparently, ethically, responsibly and reliably.

- **SAFETY:** Safety is a core value over which no business objective can have a higher priority.

- **TEAMWORK**: Strive to obtain best results by working together; we continuously seek to inspire, share experiences and knowledge to cause positive change.

- **ENVIRONMENTAL AND SOCIAL RESPONSIBILITY**: Protect and respect the environment and people; committed to develop, construct, operate and maintain our projects in a sustainable manner.

- **AGILITY:** Speed, responsiveness and being proactive, achieved through collaboration and empowering employees.

- **CARE & RESPECT:** Care for all stakeholders - Customers and shareholders (both existing and potential), our community and our people (our employees and partners) and Government Agencies. Treat all stakeholders with respect and dignity.

- **EXCELLENCE**: Do everything (set direction, deploy actions, analyze, review, plan and mitigate risks etc.) with a thoroughness that delivers quality in all areas (including operations, execution of all processes and procedures with continuous improvement).

# ჩვენი ადამიანები
# Our People

შპს "აჭარისწყალი ჯორჯია" მულტიკულტურული კომპანიაა. ჩვენ ერთ-ერთ მთავარ მიზანს და ღირებულებას ერთიანობის, პატიოსნების, უსაფრთხოების, გუნდური მუშაობის, გარემოს და სოციალური პასუხისმგებლობის გარდა, უსაფრთხო სამუშაო გარემოს, პირობებისა და ჩვენი თანამშრომლების პატივისცემის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ჩვენ ვკრძალავთ იძულებით შრომას, დისკრიმინაციას და უზრუნველვყოფთ საქართველოს შრომის კანონმდებლობის, ასევე, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებული ფუნდამენტური კონვენციების სტანდარტების, სოციალური დაცვისა და შრომის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წესების შესრულებას.

კომპანიას აქვს გამჭვირვალე და ეფექტური რეკრუტირების პროცესი. ვაკანსიები განთავსდება შესაბამის ვებგვერდებზე და კანდიდატები შეირჩევა კონკურსის წესით.

ადამიანური რესურსების სახელმძღვანელო და ქცევის კოდექსი, რომლებიც შემუშავებულია კომპანიაში, მოიცავს სამუშაო და ეთიკური პროცესების ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებზეც თითოეულ თანამშრომელს აქვს წვდომა და მათი დაცვა ევალებათ. სამუშაოსთან დაკავშირებულ გულწრფელ და სამართლიან მიდგომებს მიესალმებიან როგორც თანამშრომლები, ასევე მიესალმება დამსაქმებელიც.

საჩივრების მექანიზმი - თითოეულ თანამშრომელს აქვს შესაძლებლობა და წახალისებულია, გამოხატოს თავისი შეშფოთება ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით საჩივრების მექანიზმის საშუალებით. შპს "აჭარისწყალი ჯორჯიას" სხვადასხვა ადგილზე განთავსებულია საჩივრების ყუთი, იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომელს სურს, ანონიმურად დარჩეს.

კომპანიის უპირატესობები - თითოეულმა თანამშრომელმა იცის უპირატესობები, რომლებიც კომპანიამ მათთვის შექმნა, ესენია: ჯანმრთელობის დაზღვევა (100%-ით ანაზღაურებს კომპანია), დღიური კვება, მობილური სერვისი, თანამშრომელთა საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფა (განსახლების ობიექტები აკმაყოფილებს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა (IFC) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) 2009 წლის სახელმძღვანელო მითითებებს თანამშრომელთა განსახლების შესახებ), სპორტული დარბაზი და სატრანსპორტო მომსახურება.

განათლება და უნარების კვალიფიკაცია - შპს "აჭარისწყალი ჯორჯია" მხარს უჭერს თითოეული თანამშრომლის განვითარებასა და საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელებას და შესაძლებლობას აძლევს მათ, გააუმჯობესონ ძირითადი უნარები ტრენინგების ორგანიზებით, რომელიც ეფუძნება როგორც კომპანიის, ასევე თანამშრომლების საჭიროებებსა და მოთხოვნებს.

AGL is a multi-cultural company. Apart from integrity, honesty, safety, teamwork, environment, and social responsibilities, one of the major goals and values of the company is to ensure a safe working environment, and the respect of our employees. We prohibit forced labor and discrimination, and ensure compliance with Georgian labor law, the fundamental conventions of the International Labor Organization, Social Security, as well as occupational health and safety laws.

AGL has a transparent and efficient recruitment process. Job vacancies are posted on relevant websites and candidates are selected on a competitive basis.

The HR Handbook and Code of Conduct are established in the company as the main guidelines of work and ethical processes that each employee has access to and is expected to comply with. Honest and fair work-related feedback is always welcome from both Employees and the Employer.

Grievance Mechanism – Each employee has the opportunity and is encouraged to express their concerns about any issue via a grievance mechanism. Each AGL location contains a grievance box in case an employee would like to remain anonymous.

Company Benefits – Each employee is aware of the benefits the company provides. Benefits include the following: health insurance (100% covered by the Company), a daily meal, mobile service, bachelor accommodation (accommodation facilities meet the requirements of the 2009 IFC and EBRD Guidance Note on Worker's Accommodation), gym, recreation, and transportation services.

Education and Skill Development – AGL supports the development and sufficiency of each employee and allows employees to strengthen their core skills by organizing training based on the needs and requirements of both the company and the employee.

# ტრენინგები და კვალიფიკაცია
# TRAININGS AND QUALIFICATION

* ფინანსები და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები
* SCO-USAID საბალანსო ბაზართან დაკავშირებული საკითხები
* ქონების გადასახადის გამოთვლისა და დეკლარაციის წესი
* Basic-Excel - OEND
* Global Compact Network Georgia-კორპორატიული მდგრადობა
* Advance-Excel -OEND
* საქმიანი კომუნიკაციის წერითი უნარები - Princeton Academy
* ელექტრო უსაფრთხოება - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
* ნარჩენების მართვა
* კიბერ უსაფრთხოება




* *Finance & Accounting Standards*
* *ESCO-USAID Balance Market Related Issues*
* *Rules of Calculation and declaration of property Tax*
* *Basic-Excel - OEND*
* *Global Compact Network Georgia-Corporate Sustainability*
* *Advance-Excel -OEND*
* *Email etiquette and writing skills-Princeton Academy*
* *Electrical safety - Georgian Technical University*
* *Waste Management*
* *Cyber Security*



ღია დიალოგი

შპს "აჭარისწყალი ჯორჯიას" მენეჯმენტი ორ თვეში ერთხელ აწყობს ღია დიალოგის სესიებს. სესიის მიზანია, უშუალო კომუნიკაცია მენეჯმენტსა და თანამშრომლებს შორის, ორივე მხრიდან უკუკავშირის მიღება და კომპანიის მუშაობის, პოლიტიკისა და სტრატეგიების შესახებ ინფორმაციის გაზიარება.

სესიაზე ნებისმიერ თანამშრომელს აქვს შესაძლებლობა, გამოხატოს თავისი საჭიროებები, მოთხოვნები და მოსაზრებები. თითოეული კომენტარი და შენიშვნა აღირიცხება და დისკუსიისთვის გადაეცემა მენეჯმენტსა და დეპარტამენტის ხელმძღვანელს. დადგენილ ვადაში ღია დიალოგის სესიებზე წამოჭრილი საკითხები დელეგირებულია და შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა პასუხისმგებელ პირებს. საკითხებთან დაკავშირებით გაუმჯობესებისა და ქმედებების შესახებ ინფორმაცია კვლავ მიეწოდებათ თანამშრომლებს ღია დიალოგის მომავალ სესიებზე.

გუნდის მშენებლობა

ჩვენ ვაწყობთ გასართობ შეკრებებს ღია ცის ქვეშ, რაც თანამშრომლებს შესაძლებლობას აძლევს, სასიამოვნო დრო გაატარონ სამუშაოს გარდა და გაიცნონ ერთმანეთი სხვადასხვა სიტუაციაში, შეიძინონ ახალი უნარები და მიიღონ ინფორმაცია ერთმანეთის შესახებ.

გუნდის შექმნის აქტივობები ეხმარება ჩვენს გუნდს, გააუმჯობესოს ურთიერთობები და დინამიკა, დანერგოს ნდობა, გააძლიეროს კომუნიკაცია, წაახალისოს შემოქმედებითობა და ინოვაცია, მიაღწიოს მიზნებს, განავითაროს უნარები, გაზარდოს ეფექტურობა და პროდუქტიულობა და შექმნას კომპანიის კორპორატიული კულტურა.





Open Dialogue

AGL management organizes bi-monthly open dialogue sessions. The aim of these sessions is to have direct communication between management and employees. During these sessions, both parties provide feedback on company performance, policies, and strategies.

Each employee has the opportunity to express their needs, requirements, thoughts, and areas of improvement. Each comment and remark is noted and shared with management and HOD for discussion. Within a set time frame, the items mentioned during these open dialogue sessions are delegated and shared with responsible persons for further action. Improvements and actions taken related to the presented issues are shared with employees during the following open dialogue session.

Team Building

We organize fun outdoor gatherings, which give employees the possibility to enjoy time apart from work and get to know each other in different situations, as well as learn new skills.

Team building activities help our team improve relationships and dynamics, cultivate trust, enhance communication, encourage creativity and innovation, achieve goals, develop skills, increase efficiency and productivity, and create the company’s corporate culture



ღია დიალოგი

Open Dialoge

















# ჩვენი გუნდი

# OUR TEAM











































# მედია და კომუნიკაცია
# MEDIA & COMMUNICATION

























# მედია და კომუნიკაცია
# MEDIA & COMMUNICATION

















